პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი შაბათი 24 თებერვალი № 47 (17392) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა საქართველო 58 წლისაა

მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს ახლა საბჭოთა საქართველოში — მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანასთან ერთად ემზადება იგი სსრ კავშირის შეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამ კამპანიას დაემთხვა ღირსშესანიშნავი თარიღი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავი. რესპუბლიკის მშრომელები მას შეეგებნენ ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. რესპუბლიკა ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით 1978 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

გასული წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო რესპუბლიკის მშრომელებისათვის: ამოქმედდა ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები, არაჩვეულებრივი ამინდის პირობების მიუხედავად მოწეულია ჩაისა და ყურძნის რეკორდული მოსავალი. იზრდება რესპუბლიკის წვლილი საერთოსაკავშირო დოვლათში. მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპი უსწრებს საშუალოსაკავშირო მაჩვენებელს. განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1972 წელთან შედარებით გაიზრდება 38 პროცენტით და მეტად.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს სსრ რესპუბლიკა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო მაგალითია.

23 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. დარბაზში შეიკრიბნენ პარტიის ვეტერანები, სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა მოწინავენი, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების მეომრები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აღმის ფონზე მოჩანს მშრომელთა დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. დ. ბაბუნიამ.

საზეიმოდ ეღირს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილებმა ტაშის გრიალში სამპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

ცხოვრება — ეკრანზე

„ყველა ხელოვნებათაგან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია კინო!“ — თუმცა ვ. ი. ლენინის ეს ლაკონიური, ფართო შინაარსის დამტკიცე ფორმულა საბჭოთა კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზეა ნათქვამი, მაგრამ დღესაც, 70-იანი წლების მიწურულს, შემოქმედის სახელმძღვანელო დებულებად რჩება ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ოსტატებისათვის. ასეთი ცხოველმყოფელობის საფუძველია ადამიანთა უფართოეს მასებზე ზემოქმედების ის უდიდესი ძალა, კინემატოგრაფი რომ ფლობს, და ის გამორჩეული ეფექტიანობა, რომლითაც კინო გვეხმარება სოციალისტური კულტურის მენებლობის ამოცანები რომ ცხოვრების რეალობად ვაქციოთ.

კინოხელოვნების ყოველი ნაწარმოები, ცხადია, მეტნაკლებად, გამოსვლისთანავე ხდება ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების საგანი, მაგრამ, თქმა არ უნდა, საბჭოთა მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ხვდება ჩვენი ყოფა-ცხოვრების, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების აქტუალური, სადღეისო პრობლემებისადმი მიძღვნილ ფილმებს, და რაოდენ მნიშვნელოვანია, როცა ეს კინოსურათები ნიჭიერებისა და მხატვრულობის მაღლით არიან აღბეჭდილნი.

თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ცხოვრება ჩვენთვის ნაცნობი და მახლობელია. ალბათ, ამიტომაც იოლი როდია ამ თემის სრულყოფილი, დამარწმუნებელი ძალით ასახვა ხელოვნებაში. აჩვენო ეკრანზე თანამედროვე საბჭოთა ყოფა-ცხოვრება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, თავისი კონფლიქტებით, სასახელო მიღწევებითა და, ცხადია, ჯერ კიდევ არსებული ჩრდილოვანი მხარეებით, ხელოვნების ფაქტი გახადო ჩვენი ცხოვრების დიადი, კეთილშობილური სიმართლე, ახალი საზოგადოების ასაშენებლად გაშლილი ბრძოლის რევოლუციური ბეროიკა და რომანტიკა — ეს ურთულესი ამოცანაა. მაგრამ რაც უფრო რთულია ამოცანა, მით უფრო საპატიო და სასახელოა მისი განხორციელება.

დღეს უკვე აღიარებულია და, ცხადია, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ქართული კინო, მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის მძლავრი, ეროვნული, თავისებურებებით გამორჩეული შენაკადია. ამაზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა. გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავე სტატიაშიც აღნიშნავდა, რომ ქართველმა ოსტატებმა თავიანთი ფილმებით მაღალი პროფესიონალიზმი დაამტკიცეს. ისიც საგულისხმოა, რომ ეს ოსტატები — გამოცდილებით დაბრძენებულნიც და ახალგაზრდებიც, განსაკუთრებულ გულისყურს უთმობენ თანამედროვეობის ასახვას ეკრანზე.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ ბოლო 5-6 წელიწადში შექმნილი სურათებიდან თითქმის 75 პროცენტი თანამედროვეობის საკითხებს ეძღვნება. და თუ გაზეთმა „პრავდამ“ იმავე სტატიაში მაინც გამოთქვა სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები ჩვენი კინოსტუდიისადმი ამ თემის დამუშავების მხრივ, აქ უურადღება გამახვილებული იყო უპირატესად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, გაზეთი იქვე მიუთითებდა, რომ თანამედროვეობის თემაზე ფილმების შემქმნელებმა მიზნად უნდა დაისახონ „...სადღეისო პრობლემების გაღრმავებული დამუშავება“.

ცხოვრება მრავალფეროვანია, მრავალწახნაგოვანია. ნათელის, კეთილის, პოზიტიურის გვერდით არსებობს, ბნელი, დრომოჭმული, ნეგატიური მონაკვეთი. ჩვენ ირგვლივ ნამდვილ გმირებსაც ნახავთ და მუქთახორებსაც. რაკი ხელოვნება ცხოვრების თავისებური სარკეა, ამიტომ ცხოვრება ეკრანზე მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მრავალწახნაგოვნებით უნდა აისახებოდეს. მაგრამ ჩვენ გვინდა, და სწორედ ასეთია დროის მოთხოვნა, რომ კინოგმირთა გალერეაში პრიორიტეტი ეკუთვნოდეს ადამიანს, გმირს, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი მხრებით ზიდავს ჩვენს ცხოვრებას, რომელიც მუხლჩაუხრელად იღვწის საკოლმეურნეო სოფელში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, სამეცნიერო დაწესებულებებში თუ შემოქმედებითს ფრონტზე, სახალხო დოვლათს ქმნის თუ დარაჯად უდგას ხალხის ჯანმრთელობას, კულტურას, მის აწმყოს და მომავალს.

ამასთანავე უმთავრესია, რომ ხელოვნება ტიპიური გმირებით იყოს დასახლებული. მარქსიზმის კლასიკოსთა ცნობილი განმარტებების თანახმად ტიპიურობა სრულებით არ გულისხმობს საყოველთაოდ გავრცელებულს. ტიპიურია ის, რაც სრულყოფილად გამოხატავს საზოგადოების, მისი განვითარების ძირითად ნიშნებსა და ტენდენციებს. ამის კვალობაზე, ცხოვრებისეული გმირი, ცხოვრებისეული სიმართლე მაშინ იქცევა ხელოვნების მართალ გმირად, როცა მას მხატვარი ვიწრო კონკრეტულობის საფარს ჩამოაშორებს და ფართო განზოგადებულ ეღერადობას მიანიჭებს. ასეთი ცხოვრებისეული სიმართლით აღბეჭდილი ტიპიური გმირი სჭირდება ჩვენს დღევანდელ კინოს. ასეთია დროის გადაუდებელი მოთხოვნა.

ცნობილია, რომ როგორც საერთოდ მთელი სოციალისტური კულტურის, მისი ყოველი დარგის, ისე, ეერძოდ, კინოხელოვნების ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად განვითარების საქმეს ყოველდღიური ყურადღებით ეკიდება კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, რადგან, როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მივთითებს **„კინო პარტიის მეშვიდეული თანაუმეფე, საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხალხის მხატვრული კულტურის განუყოფელი ნაწილია“.**

მთელ საბჭოთა და მათ შორის ეროვნულ კინოხელოვნებებზე უდიდესი კეთილგაყოფიერი გავლენა მოახდინა და კინოოსტატებისათვის სახელმძღვანელო პროგრამად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის აგვისტოს დადგენილება „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ“. ეს იყო მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელშიც, ერთი მხრივ, მოცემულია საბჭოთა კინოს მეცნიერული, კომპეტენტური კრიტიკული ანალიზი და, მეორე მხრივ, დასახულია კონკრეტული გზები მისი შემდგომი განვითარებისათვის, ხაზგასმულია კინოს უდიდესი როლი კომუნისტურ მშენებლობაში, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

კინოს მუშაკებისათვის ამ საპროგრამო დოკუმენტის პრაქტიკული განხორციელების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1978 წლის თებერვალსა და ივლისში მიიღო შესაბამისი დადგენილებები ჯერ ქართული მხატვრული, შემდეგ დოკუმენტური კინემატოგრაფიის განვითარების უზრუნველსაყოფად. პარტიის ამ სახელმძღვანელო მითითებათა რეალურ საქმედ გადაქცევისათვის გაწეულმა მუშაობამ, ცხადია, უკვე მოგვცა კეთილნაყოფიერი შედეგები. ამაზე პრესაშიც უთქვამთ და ტრიბუნიდანაც. მაგრამ მიღწეული და მოპოვებული უფრო მაშინ არის საამაყო და სასიხარულო, როცა კმაყოფილების გრძნობა არ დაგვეუფლება და მუდამ ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად ვიქნებით მომართული. ასეთია შემოქმედებითი წინსვლის და განვითარების კანონი, რადგან ცხოვრება ყოველდღიურად ახალ ამოცანებსა და პრობლემებს გვიყენებს. დღევანდელობის კვალში დგომა ყოველი ხელოვანის უპირველესი სასიცოცხლო მოვალეობაა.

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა სახელმწიფო კომიტეტი და კინემატოგრაფისტთა კავშირი, საკავშირო პარტიული და დარგობრივი პრესა. ამის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება ყურნალ „ისკუსტვო კინოს“ რედაქციის მიერ ამას წინათ მოწყობილი „მრგვალი მაგიდა“ ქართული კინოს პრობლემებზე. ხოლო გუშინ, 23 თებერვალს, თბილისში გაიმართა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს გაფართოებული გამსვლელი სხდომა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობასთან ერთად. სხდომაში, რომელმაც თანამედროვე ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პრობლემები განიხილა, მონაწილეობდნენ საკავშირო კინოკომიტეტისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები, საბჭოთა კინოხელოვნების ცნობილი, აღიარებული ოსტატები, კინომცოდნეები და კრიტიკოსები. ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ერთობლივი სხდომები და ღონისძიებები, შეხვედრები, გულახდილი დიალოგები კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს როგორც ქართული, ისე მთელი საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაზე.

ფილმები იქმნება მილიონობით ადამიანისათვის, ამიტომ გასაგები და გულთან მისატანი უნდა იყოს მათთვის. ფართო საზოგადოებრივი აღიარება და საყოველთაო მოწონება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ ისეთმა კინოფილმებმა, რომლებიც გამოირჩევიან მაღალიდეურობით, ჭეშმარიტი მხატვრულობით, პროფესიული ოსტატობით. სწორედ ასეთ ნაწარმოებებს მოელის მაყურებელი კინოოსტატებისაგან.

მეცნიერი — დეკუტატობის კანდიდატი

კონსტანტინე ვირსალაძე — ს. კილაძის ფოტო.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ნ. ბლოხინი თბილისში

სამ დღეს იყო თბილისში სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი ნ. ნ. ბლოხინი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს № 486 გუდაუთის საქალაქო საარჩევნო ოლქში.

თბილისში ნ. ნ. ბლოხინმა დათვალიერა ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, წაიკითხა ლექცია ონკოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესახებ.

22 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნ. ნ. ბლოხინს.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა ის დიდი შრომითი და პოლიტიკური იღმავლობა, რომლითაც მიმდინარეობს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება, თქვა, რომ მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ნ. ნ. ბლოხინმა მაღალი შეფასება მისცა ქართველ მედიკოსთა ნაშრომებს.

შეხვედრის დროს განიხილეს რესპუბლიკაში მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარება, პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვისათვის მეცნიერ მედიკოსთა დახმარების გაძლიერების, როგორც რესპუბლიკის, ისე ქვეყნის ინსტიტუტებს შორის მეცნიერული კვლევის კოორდინაციის გაუმჯობესების, სამეცნიერო კონტაქტების გაფართოების საკითხები.

23 თებერვალს ნ. ნ. ბლოხინი მოსკოვში გაფრინდა. (საქინფორმი).

ყურადღების ცენტრშია სპეციალიზაცია და კონცენტრაცია

22 თებერვალს თბილისში მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ზონალურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების საკითხებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამართული ამგვარი კონფერენციებიდან, ეს მორიგი კონფერენციაა. მათზე ამუშავებენ ქვეყნის ამა თუ იმ ზონის საარსებო საკითხებს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. ივეკლემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ჭითანავასი — „სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი აგროსამრეწველო კოოპერირების პირობებში საქართველოს სსრ მაგალითით“, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ი. აბილოვისა — „აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ“, სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის გ. სადოიანისა — „სომხეთის სსრ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. პრონინი და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ბორჩენკო.

კონფერენცია ორ დღეს გასტანს. მისი მონაწილენი ეწვევიან რესპუბლიკის სამეურნეობათშორისო ფორმირებებს.

(საქინფორმი).

სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად

22 თებერვალს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების და მოსკოვის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 61-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სხვადასხვა გვარეობის ჯარების მარშლები და გენერლები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყო აგრეთვე კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი რაულ კასტრო რუსი.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

(საკდესი).

ავამოქმედოთ რეზერვები

ბაკო, 22 თებერვალი. (საკდესი). ხუთწლედის მესამე წელს აზერბაიჯანელ მშრომელთა დამკვრელური შრომა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებით დაგვირგვინდა. რესპუბლიკას მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელიც დღეს გაიმართა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა რესპუბლიკის წარმომადგენლებს გადასცა დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გულთბილად მიესალმა აზერბაიჯანის მშრომელებს, ყოველივე საუკეთესო უსურვა და მიულოცა საპატიო ჯილდო.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, რომელმაც დამსწრეთ უამბო, თუ როგორ ახორციელებენ რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორ აღწევენ ახალ წარმატებებს შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. იგი შეეხო 1979 წელს შრომითი კოლექტივების წინაშე დასახულ ამოცანებს. ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის, თქვა მან, ჩვენ ყველაფერი გვაქვს — საყურადღებო გამოცდილება, დიდი რეზერვები, კარგი სკოლაგამოვლილი ხელმძღვანელები, მასების ნიჭი და ოსტატობა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1078“

1979 ᲬᲚᲘᲡ 22 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1078“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას, ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

პარტიულ სკოლებში

მსმენელთა მორიგი მიღების შესახებ

ცხადდება მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და საოლქთაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლებში.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მსმენელთა მიღება წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების რეკომენდაციებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღებიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და იდეოლოგიური მუშაკები: ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — უმაღლესი განათლების მქონე, 40 წლამდე ასაკისა; ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — საშუალო განათლების მქონე, 35 წლამდე ასაკისა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა უმაღლეს პარტიულ სკოლებში უნდა წარადგინონ სასწავლებლად რეკომენდებული ამხანაგების შესახებ ბიუროს დადგენილების ამონაწერი, დახასიათება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

ამა წლის 20 მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში უმაღლესი პარტიული სკოლების ორწლიან განყოფილებებსა და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებული ამხანაგები მიწვეული არიან სკოლებში გასაუბრებისათვის; ისინი, ვინც შედის უმაღლესი პარტიული სკოლების ოთხწლიან განყოფილებებსა და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე, გამოძახებულნი იქნებიან, რათა მისაღებ გამოცდებზე ჩაბარონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები (პარტიული განათლების საშალაო რგოლის მოცულობით), რუსული ენა (თხზულება) და სსრ კავშირის ისტორია საშუალო სკოლის მოცულობით. მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად მათ ეძლევათ ორი კვირის შეეგებულება და ენახებათ ხელფასი სამუშაო ადგილას.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მეცადინეობა იწყება 1979 წლის 1 სექტემბერს.

ინტერესი ქართული კინოსადმი

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებული სხდომა თბილისში

საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისში. 23 თებერვალს აქ გაიმართა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გაფართოებული გამსვლელი სხდომა. საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესაბამისად თანამედროვე ქართული კინოს — საბჭოთა კინოხელოვნების ერთ-ერთი მოწინავე რაზმის საღღეისო საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ლ. კულიჯანოვი, გამგეობის მდივნები სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ს. გერასიმოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ა. კარაგანოვი, ყირგიზეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ჩ. აიტმატოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ი. ოზეროვი, კინორეჟისორები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ა. ზგურიდი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. ნაუმოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი მ. ხუციევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მსახიობი ვ. სანაევი და სხვები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობენ უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის სსრ შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი ტ. ლეგჩუკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ე. მატვეევი, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. მარიამოვი, სსრ კავშირის სახალხო სასკენარო-სარედაქციო კომისიის მთავარი რედაქტორი ა. ბოგომოლოვი, კინორეჟისორი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ტ. ლიოზნოვა, ცნობილი კინოკრიტიკოსები.

კინოს სახლში გამსვლელი სხდომის გახსნისას ლ. კულიჯანოვი გულთბილად მიესალმა ქართველ კინემატოგრაფისტებს და დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც საბჭოთა კინემატოგრაფისტებს დაუსახეს სკკპ XXV ყრილობამ, საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გამსვლელი სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფოთებით დაგმეს ჩინეთის დანაშაულებრივი აგრესია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. პეკინის „თავხედური აგრესია, თქვეს მათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის ხელმძღვანელთა შოვინისტური, ჰეგემონისტური პოლიტიკის ნაწილია და მოწმობს, რომ ისინი შეუკავშირდნენ ამერიკის იმპერიალიზმისა და მსოფლიო რეაქციის მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიების, რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კინემატოგრაფისტები მთლიანად უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას და, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჩინეთის ჯარები ვიეტნამიდან.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ე. შენგელაიამ, თანამოხსენებანი — რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივნებმა გ. ბარათაშვილმა და მ. კოკოჩაშვილმა.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ ქვეყნის თვალსაჩინო კინემატოგრაფისტები.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გამსვლელი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ი. ლისაკოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალეკ

მოსკოვის ოლქის ქალაქ სტუპინოს კულტურის სასახლეში 22 თებერვალს სტუპინოს საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროება კომიტეტის თავმჯდომარეს იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს.

ᲞᲐᲠᲛᲐᲥᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲓᲐᲠᲘ

1979 4 ᲗᲔᲕᲚᲘᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲔᲩᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ!

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ი. ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲗᲐᲜ

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — სტუპინოს მეტალურგიული კომბინატის მეგრაგნილეთა ბრიგადირმა ა. პ. მოროზოვამ ილაპარაკა ი. ვ. ანდროპოვის ცხოვრების გზის შესახებ და ოლქის ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ორატორებმა თქვეს, რომ ოლქის მშრომელთა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, ყველა მოქალაქისადმი.

სიტყვა წარმოთქვა ი. ვ. ანდროპოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა ოლქის ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და თქვა, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საარჩევნო კამპანია დიდი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. არჩევნებისათვის მზადებას თან სდევს განვლილი გზის შედეგების საყოველთაო-სახალხო განხილვა, ფართო სკამაისი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური ამოცანების შესახებ. სწორედ ეს არის მოქმედი სოციალისტური დემოკრატია, ეს დემოკრატია, რომლის დედაარსია ყველასი და თითოეულის კონკრეტული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და საზოგადოების მართვაში.

დეპუტატობის კანდიდატი შეეხო ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგებს, აღნიშნა, რომ არასოდეს არ გვქონია ასეთი უდიდესი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული პოტენციალი, ასეთი ფართო შესაძლებლობანი წინსვლისათვის. აყაირათანად, უმაღლესი ნაყოფიერებით გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი — აი, რა გვჭირდება ჩვენ, თქვა ორატორმა. აქედან გამომდინარეობს მეათე ხუთწლეულის ის საკვანძო ამოცანაც, რომ ავამაღლოთ მთელი ჩვენი მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი. ამ ამოცანის განხორციელებას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებასთანაც.

საბჭოთა ადამიანები, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირს ახალი კონსტიტუცია დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი გახდა, რომელიც ასახავს ჩვენს მონაპოვრებსაც და კომუნისტური მშენებლობის ფართო პერსპექტივებსაც ჩვენს ქვეყანაში. კონსტიტუციის მიღებიდან ცოტა დრო გავიდა, მაგრამ უკვე ახლა ნათლად ჩანს, თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორ ორგანულად დამკვიდრდა კომუნისტური მშენებლობის ცოცხალ პრაქტიკაში. მთელი საბჭოთა ხალხი იყო თავისი სახელმწიფოს ძირითადი კანონის შემოქმედი. და ახლა, როცა კონსტიტუცია ძალაში შევიდა, საბჭოთა ხალხი აქტიურად ახორციელებს მის დებულებებს.

შეეხო რა შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის ზოგიერთ საკითხს, ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ მთელ მათს საქმიანობაში სწორი, პოლიტიკური გეზის პირობაა კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ძირითადი, მთავარი ამოცანა ის არის, რომ ებრძოლონ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ რეაქციული იმპერიალისტური ძალების ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ყველა ჩვენი გეგმის შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმიან, პარტიული პრინციპულობით გამსჭვალულ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელიც ჩვენს პარტიასა და ქვეყანაში სუფევს. ასეთი ატმოსფერო პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიზანდასახული საქმიანობის შედეგია. ჩვენი ქვეყნის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მიაჩნიათ ლენინური ტიპის პოლიტიკურ ლიდერად, რომელიც განუხრელად არის დაკავშირებული ხალხთან, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, მთელ ძალ-ღონეს აბმარს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას „და ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, თქვა დასასრულ ი. ვ. ანდროპოვმა, ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამით ეგვება არჩევნებს. იგი ჩამოყალიბებულია ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი. ამ პროგრამის მიზანი ის არის, რომ კიდევ უფრო დამშვენდეს და გაძლიერდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, კიდევ უფრო უკეთესი და სრულფასოვანი გახდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, კიდევ უფრო მტკიცე და სიმედო იყოს ქვეყნად მშვიდობა. საბჭოთა ადამიანები მტკიცედ უჭერენ მხარს პარტიას, პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ მის მოწოდებებს. ყოველივე ეს იმის გარანტიაა, რომ ყველა ჩვენი გეგმა შესრულდება, რომ ჩვენი ქვეყანა ახალ წარმატებებს მიაღწევს კომუნიზმისაკენ დიად, ძლევამოსილ წინსვლაში.

(საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲘᲗ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ა. Ი. ᲞᲔᲚᲨᲔᲡᲗᲐᲜ

რიგის კიროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს არვიდ იანის ძე პელშეს.

ლატვიის პ. სტუჩკას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვ. ო. მილერმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა დამსწრეთ უამბო ა. ი. პელშეს ცხოვრების გზის შესახებ და ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ორატორებმა აღნიშნეს ის უდიდესი აღმავლობა, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, ყველა მოქალაქისადმი, თქვეს, რომ შრომითი კოლექტივები, რომლებიც მონდომებით ეძებენ ახალ რეზერვებს, კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ პარტიის წინასწარდასახულობათა, 1979 წლისა და მთელი მეათე ხუთწლეულის დავალებათა განხორციელებისათვის.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ა. ი. პელშეს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული ნდობისათვის, და თქვა, რომ ყველა ამ გამოქმედ გულთბილ სიტყვას ჩვენი პარტიისადმი ხალხის ერთგულების გამოხატულებად, მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის მაღალ შეფასებად მიიჩნევს.

დეპუტატობის კანდიდატმა, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ, აღნიშნა, რომ სხვადასხვა ნაკლოვანება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაჯლეგვა და სხვა ნეგატიური მოვლენები მეტ წილ შემთხვევაში უყურადღებობის, შემრიგებლობის, აგრეთვე იმის შედეგია, რომ მოისუსტებს ან სულ არ არის კრიტიკა.

საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა სისრულე და რეალობა შეხამებულია საზოგადოების წინაშე მათ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასთან. სწორედ ამის გამო მათი ცხოვრებისეული პოზიცია პასიური, გულგრილი მეთვალყურის პოზიცია კი არა, მეზანმიმართული, მებრძოლური ყველა იმ შემთხვევაში, როცა საბჭოთა ადამიანი ამჩნევს სხვადასხვაგვარ სოციალურ ანომალიას, აწყდება კორაციულ ტენდენციებს, ეკონომიკურ ბოროტებებს, ეკონომიკურ ბოროტებებს, ეკონომიკურ ბოროტებ

შრომის ქურაში...

ფიქრები აღზრდაზე

კომუნისტური აღზრდის უმთავრესი კომპონენტი

თავის მეტად მნიშვნელოვან დადგენილებაში „გადაჭრით ებრძოლოთ ფორმალიზმს აღმზრდელობით მუშაობაში“, ამ დღეებში რომ გამოქვეყნდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით მართებულად აღნიშნავს: „ღრმად გამჯდარი ფორმალიზმი იმის შედეგიც არის, რომ ქმედითს პარტიულ კონტროლს არ უწევენ მოზარდი თაობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის დარგში პარტიის XXV ყრილობის დირექტივების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულებას“.

ეს დებულება მთლიანად ეხება აგრეთვე ახალგაზრდობის შრომითს აღზრდაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულ ფორმალიზმს. შრომითს აღზრდას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანის საარსებო მოთხოვნილება, მისი ყოველმხრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა ხდება.

დიდია წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა პირადი მაგალითის შთამაგონებელი, აღმზრდელობითი ძალა, რომლებიც შრომაში იჩენენ ნამდვილ თავდადებას, სიყვარულსა და პატივისცემას შრომისადმი.

მასებისათვის სამაგალითოა სწორედ ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს თავიანთ საქმით ისეთ სახელმოხვეჭილ ოსტატებს, როგორიც არიან მეფოლადე პოსტნიკოვი, მშენებელი ზლობინი, მეჩაიე ყუფუნია, მჭედელი ილურიძე, ხარატი გიჩიჩილაძე, მეკოპე კურტანიძე, ფეიქარი ქემაშვილი, მშენებელი თურქოშვილი და სხვები.

ყველგან და ყოველთვის ვიმუშაოთ კეთილსინდისიერად — ეს არის პატიოსანი შრომელის, თავისი საქმის ნამდვილად მოყვარული ადამიანის ურღვევი წესი. ამიტომაც იგი ცუდად და გულგრილად ვერ იმუშავებს. ეს ხომ შელახავდა მის ღირსებას. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ვ. ი. კალინინი ამბობდა, რომ არალეგალურ მუშაობაში წამოიწია დისკუსია: ვალდებულია თუ არა რევოლუციონერი მუშა იზრუნოს პროდუქციის ხარისხისათვის. ერთნი ამბობდნენ, ცუდი პროდუქციის გამოშვება მუშის ღირსებას ამცირებსო. სხვები კი პირიქით, იმ აზრისა იყვნენ, რომ არ ღირს კაპიტალისტების გულისათვის სიბეჯითე, პროდუქციის ხარისხისათვის მხოლოდ კაპიტალისტებმა იზრუნონო. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საკითხს ასე დასმა შეცდომა იქნებოდა. ახალი წყობილების დამყარებისთანავე უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლა მუშის ღირსებისათვის ბრძოლაა. ეს მოთხოვნა განსაკუთრებული აქტუალურობით ჟღერს მეათე ხუთწლედში — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში.

საბჭოთა ხალხს შრომა შემოქმედებითს პროცესად, საზოგადოებრივ მოწოდებად და მორალურ ვალდებულებად მიაჩნია, ნამდვილ ადამიანურ ბედნიერებას ხომ ვერ პოვებ, თუ არ იშრომე.

დიდია შრომის როლი ადამიანის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ყალიბდება მორალური ნორმები, შეხედულებანი და წარმოდგენები, კომუნისტური ჩვევები, დისციპლინა, კოლექტივიზმი, მეგობრობა და სხვა მაღალი ზნეობრივი თვისებები.

უდავოა აგრეთვე შრომის სასიცოცხლო მნიშვნელობა. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შრომამოყვარე ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, რომ არც ერთ ზარმაცს ღრმა მოხუცებულობამდე არ მიღწევია. ფ. ენგელსს შრომა მიაჩნდა მთელი სიცოცხლის პირველ ძირითად პირობად და ამბობდა კიდეც, შრომამ შექმნა თვით ადამიანიო.

ახალი საზოგადოების მშენებელთა შრომითი აღზრდა თანამედროვეობის ყველაზე მთავარი, აქტუალური ამოცანაა.

შრომითს აღზრდას უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ჩვენი ძირითადი კანონი თავისებური შრომის ჰიმნია იმათ სადიდებლად, ვისი მარჯვენაც, ნთელი გონება და ნება სახეს უცვლის მშობლიურ მიწა-წყალს.

შრომა საბჭოთა მოქალაქის არა მარტო მოვალეობა, არამედ ღირსების საქმეც არის. შრომის მოვალეობა გამომდინარეობს თვით სოციალისტური წყობილების ბუნებიდან, რომლის ურღვევი პრინციპია: თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით.

ცნობილია, რომ 1936 წელს მიღებულ კონსტიტუციაშიც გთვალისწინებული იყო ადამიანთა შრომის უფლება, მაგრამ ახლა ამას დაემატა მოქალაქის მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადებისა და განათლების შესაბამისად პროფესიის, საქმიანობისა და მუშაობის არჩევის უფლება.

შრომითი აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას. იგი კომუნისტური აღზრდისა და შრომითი ოსტატობის, საფუძვლიანი პროფესიული ჩვევების შეძენის, ფართო პროფილის მუშაკთა მომზადების ნამდვილ სკოლად გადაიქცა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, სწავლების პოლიტექნიკური პრინციპი ფართოს ზოგად განათლებას მოითხოვსო. პოლიტექნიკური განათლებას ლენინი ამოცანად უსახავდა: „მოგვეცით ისეთი მუშაკები, რომლებსაც ეცოდინებათ თავიანთი საქმე, სავსებით შეეძლებათ გახდნენ ოსტატი და იქნებიან საამისოდ პრაქტიკულად მომზადებულნი“.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კიდევ უფრო ზრდის პროფესიულ-ტექნიკური განათლების გაუჯობესებას ამოცანებს, რაც აისახა პარტიის სათანადო დადგენილებებში.

შრომითი აღზრდა განუხრელად არის დაკავშირებული მტკიცე საწარმოო დისციპლინასთან, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობასთან. შრომისადმი პატივისცემის ჩანერგვა ნიშნავს— განუხრელად განვამტკიცებდეთ ორგანიზებულობასა და წესრიგს წარმოებაში, საკუთარ სამუშაო ადგილს. სამუშაო დროის ერთი წუთის დაკარგვა ქვეყნის მასშტაბით უდრის ორასი ათასი მუშის დღიური შრომის შედეგების დაკარგვას. პარტია მოგვიწოდებს ავამაღლოთ შრომის დისციპლინა პასუხისმგებლობისა და შეგნების ჩანერგვის, მატერიალური და მორალური სტიმულირების მოფიქრებული სისტემის დანერგვის, ამხანაგური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, თითოეულ შრომელზე კოლექტივის ზემოქმედების გზით.

პარტიის ამ მოთხოვნებს ეხმაურება რუსთაველ მეტალურგთა მოწოდება — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ ეს არის არა მარტო საწარმოო ლოზუნგი, არამედ ზნეობრივი ნორმაც.

ახლა, როცა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება საწარმოებში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, მდგომარეობა ძირეულად იცვლება. მცირდება ბუშანელის დენადობა, იზრდება შრომელთა აქტიურობა.

მწერალი ვადიმ კოჟევნიკოვი მოთხრობაში — „იცნობდეთ, ბალუევი!“ ბალუევს ათქმევინებს, რომ ადამიანზე მსჯელობა მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება, თუ როგორ მუშაობს იგი, რას აკეთებს საზოგადოებისათვის, ხალხისათვის. თუ შენ გაიძვერა, თაღლითი არა ხარ, — განაგრძობს ბალუევი, — საერთო საბჭო

შრომის ქურაში...

(დასასრული)

ქვეყანაში ტურისტული მოგზაურობის შემდეგ დაწერა წიგნი „მშვიდობა რუსეთთან“, რომელშიც განცვიფრებას გამოთქვამს საბჭოთა მუშების იმ დაინტერესებით და სიამაყით, რომელსაც ისინი განიცდიან თავიანთი პირადი წვლილის შეტანით საერთო სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევაში.

მშრომელების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და წარმოებაში თავიანთი როლის შეგნება ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.

შრომითი აქტიურობა და ინიციატივა, შრომითი ენთუზიაზმი სრულ გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში, პოლიტიკური და შრომითი აღზრდის ორგანული შერწყმის თვალსაჩინო შედეგი გახდა შეჯიბრებების ახლანდელი ეტაპი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენ გვაქვს ადამიანთა შრომითი აღზრდის ისეთი ნაკადი ბერკეტი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება გამოგონილი „თაოსნობები“ და ჰაი-ჰეი შეჯიბრების გამო. ჩვენ გვჭირდება საქმიანი, ნამდვილად ფართო მასებიდან მომავალი ინიციატივა, რომელსაც შეუძლია აღათხოს, ფრთა შეასხას მილიონობით ადამიანს. ერთი ასეთი ინიციატივათაგანია უჩამორჩენილებად მუშაობა.

უჩამორჩენილებად მუშაობისათვის შეჯიბრების ეფექტიანობას ნათლად მოწმობს ის, რომ 1977 წლის თებერვლიდან დღემდე რესპუბლიკის ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი 2,5-ჯერ შემცირდა, ხოლო ამ თაოსნობის ინიციატორებს — ქ. ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონებს არ ჰყავთ არც ერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო. ეს თაოსნობა ფართოდ უნდა დაინერგოს. ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ უჩამორჩენილებად მუშაობისათვის მოძრაობას მხარი დაუჭიროს აგრეთვე მშენებლობის სფეროში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში“.

სოციალისტურ საზოგადოებაში თითოეული მშრომელის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომითის კოლექტივთან, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ძირითადი უჯრედია. აღზრდა შრომითს კოლექტივში კომუნისტური აღზრდის საერთო პარტიულის შემადგენელი ნაწილია. აქ ყალიბდება ახალი სოციალისტური თვისებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივში ახალგაზრდობის ორგანულ შერწყმას. ახალგაზრდა მუშების შრომითს აღზრდაში მოპოვებული მიღწევები საწარმოო კოლექტივის სიმწიფის მაჩვენებელია. სამწუხაროდ, შრომისადმი დამოკიდებულებაში ზოგჯერ ვაწყდებიო წვრილბურჟუაზიული, ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გამოვლინებებს. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა უმაღლესი განათლების მიღების ძიმდეგ სათაკილოდ მიიჩნევენ სოფელში მუშაობას და ქალაქში უსაქმოდ ხეტიალს ამჯობინებენ.

განსაკუთრებულ მზრუნველობას ითხოვს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა. ახლა მთავარია მათ ჩავუნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი. ზოგიერთ ახალგაზრდას, რომელიც სამუშაო გზას იწყებს, მაგრამ საკმაო შრომითი ჩვევები არ შეუძენია ბავშვობის წლებში, საკმაოდ „მსუბუქი“, ზოგჯერ უგერგილო დამოკიდებულებაც კი უჩნდება თავისი მოვალეობისადმი, რა თქმა უნდა, კოლექტივი არ უნდა შეურიგდეს ამგვარ ფაქტებს.

შრომითი აღზრდის ფორმებისა და საშუალებების შემდგომი სრულყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშათა და კოლმეურნეთა კრებების როლის ამაღლებას, ეკონომიკური განათლების ქსელის, კომუნისტური შრომის სკოლების მუშაობის, პროპაგანდის მთელი სისტემის გაუმჯობესებას. ამ მიზანს უფრო აქტიურად უნდა ემსახურებოდეს შრომითი დიდების ზეიმები, შეჯიბრების გამარჯვებულთა პატივსაცემი საღამოები, შეხვედრები წარმოების ვეტერანებთან, ხუთწლედის მოწინავეებთან.

საბჭოთა ადამიანებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ვქმნით არა მარტო თანამედროვე საარსებო საუკეთესებს, არამედ შორეულ მომავალსაც, იქედაგან ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებას.

კ. ტოტოჩავა,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნისტმოძღვრის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ᲡᲐᲠᲗᲐᲥᲘᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ

— ᲙᲘᲣᲓᲝ —

სსრ კავშირის ხალხთა წინა, VI სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთაგან მხოლოდ ძიუდოისტებმა შესძლეს პირველი ადგილის დაკავება და ამ წარმატებას საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა: იაპონურ ჭიდაობას საქართველოში იმთავითვე ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა — ქართული ჭიდაობის ფანდებს დაუფლებულმა ბევრმა ფალავანმა ძიუდოს ადვილად აუღო ალღო, ეს კი ამ ორი სახეობის ერთგვარმა მსგავსებამ განაპირობა. ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროშვილი, ფარნაოზ ჩიკვილაძე, შოთა ჩორხშვილი, ჯიბილო ნიკურაძე, გივი ონაშვილი, რამაზ ხარშილაძე... აი, იმ ფალავანთა არასრული სია, რომელთაც მთელი 10-12 წლის მანძილზე ატარეს საბჭოთა ძიუდოს პრესტიჟის საკმაოდ მძიმე ტვირთი და ოლიმპიადებსა თუ ევროპის და მსოფლიოს პირველობაზე არაერთხელ ისახელეს თავი.

უკანასკნელ ხანს ხშირად ისმის საგანგაშო ხმები იმის შესახებ, რომ ჩვენმა ფალავნებმა ერთგვარად დათმეს მოწინავე პოზიციები, ჭიდაობის ქართველმა ვარსკვლავებმა ძველებური ელვარება დაკარგეს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზეო, მაგრამ, საბედნიეროდ, ძიუდოისტებს არ ეთქმით მსგავსი საყვედური. თბილისში ამასწინანდა გამართული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა ეს ჭეშმარიტება. შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა, მათ 4 ოქროს, 2 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს მედალი ბოძიოვეს და უკან ჩამოიტოვეს ტურნირში მონაწილე ყველა ქვეყანა.

წელს ქართველ ძიუდოისტებს უფრო მკაცრი გამოცდა ელით— წინ არის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები (ბაისი — ბელგია, ოქტომბერი — საფრანგეთი) და, რაც მთავარია, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის. სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან ასპარეზობათა შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდება საკავშირო ნაკრების ის ძირითადი შემადგენლობა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა მოუწევს მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობაში.

როგორ ემზადებიან ჩვენი ძიუდოისტები საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის? ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელს ტარიელ ჩუტლაშვილსა და ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს.

ტ. ჩუტლაშვილი: „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ თითქმის ოთხი წელი გავიდა, ძიუდოს სამყაროში კი ბევრი რამ შეიცვალა და, ცხადია, ქართველ ფალავანთა მაშინდელი მომზადების დონე საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე პირველი ადგილის მოსაპოვებლად სრულიადაც არ იქნება საკმარისი. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს წვრთნის საკმაოდ რთული სისტემა აქვს და, ცხადია, ჭიდაობის განვითარების თანამედროვე გზას მიჰყვება. კარგა ხანია, რაც ქართველ ძიუდოისტთა ვარჯიშების დამახასიათებელი პარამეტრები საკავშირო და საერთაშორისო სტანდარტებს გაუტოლდა. თუ VI სპარტაკიადისწინა პერიოდში ნაკრების წევრები თვეში. საშუალოდ 35 ვარჯიშს ატარებდნენ, ახლა მათმა რიცხვმა 50-ს გადააჭარბა. გაიზარდა აკადემიური საათების რაოდენობაც. საკმაოდ ამაღლდა სპორტსმენთა ტექნიკური მოკმედების კოეფიციენტი. თუ წინათ ჩვენი ფალავნები ერთი შეხვედრის განმავლობაში 6-8 ილეთს ატარებდნენ, აქედან კი მხოლოდ 4-6 იყო შედეგიანი, ახლა საშუალოდ 10-13 ილეთი ტარდება, ამასთან 7-9 ეფექტურია. ნაკრები გუნდის კანდიდატთა რიცხვი საკმაოდ დიდია, რაც მისი საბოლოო დაკომპლექტებისათვის არჩევანის საშუალებას გვიქმნის“.

ბ. მაზიაშვილი: „ეს ძირეული ცვლილებები წარმატების საკმაო საწინდარია. ამას გარდა ორი წლის წინათ მინსკში გამართულ ახალგაზრდულ თამაშებსა და ტაშკენტის შარმანდელ მოსწავლეთა XV სპარტაკიადაში ჩვენი ფალავნების მიერ მოპოვებულმა პირველმა ადგილებ მ ა ქულათა საკმაო მარგი უკვე დაგვიგია. ცხადია, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრების მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობას ეს ოქროს ქულებიც დაემატება. ასე რომ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: სპარტაკიადაზე თავს არ შევრცხვენ თ და ერთი ნაბიჯითაც არ დავიხევთ უკან. რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიადაში ქართველ ფალავანთა მონაწილეობას, სანქმე აქაც არ უნდა გვქონდეს ურიგოდ. გუნდში მრავლად არიან პერსპექტიული, ახალგაზრდა სპორტსმენები, თუნდაც ბორის გოგიჩაშვილი, თეიმურაზ ხუბულური, თამაზ ნამგალაური, მალაზ ხაბარელი და სხვები, რომელთაც ინტენსიური, დაუღალავი ვარჯიშის შედეგად ამ დიდ ფორუმში მონაწილეობის საგზურები უნდა მიიღონ, იქ კი ტატამზე გაირკვევა ყველაფერი...

ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრები დიდი გულმოდგინებით ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის. გვკვირა, რომ გუნდის მწვრთნელები, სპორტსმენები თავს არ დაზოგავენ და სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ, რათა ყოველმხრივ ძომზადებულნი წარსდგნენ საბჭოთა სპორტის ამ დიდ დღესასწაულზე.

ნ. შატაიძე.

ᲐᲠᲥᲘᲕᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

VI სპარტაკიადა (1975 წელი). ძიუდო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში პირველად 1975 წელს გამოჩნდა და საქართველოს ნაკრებმა I ადგილი მოიპოვა. პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულები: რ. ხარშილაძე (ქვემძიმე წონა), ჯ. ნიკურაძე (ანსოლუტური); II ადგილი: ჯ. ნიკურაძე (მძიმე); III ადგილები: დ. ხაბულიანი (საშუალო), თ. ხუბულური (ქვემძიმე), გ. ონაშვილი (მძიმე), შ. ჩოჩიშვილი (ანსოლუტური).

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). ა. კიკნაძე და ფ. ჩიკვილაძე (ორივე — მძიმე წონა) — III ადგილები.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). **შ. ჩოჩიშვილი** (ქვემძიმე) — I ადგილი, გ. ონაშვილი (მძიმე) — III ადგილი, გ. გოგოლაური (საშუალო) — V ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი) რ. ხარშილაძე (ქვემძიმე — II ადგილი, შ. ჩოჩიშვილი (ანსოლუტური) — III ადგილი.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ

ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორების მოთხოვნით ძიუდო შეტანილი იქნა ოლიმპიადების პროგრამაში. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდი, შეიქმნა 1956 წელს) საბოლოო ოლიმპიური სტატუსის მიღება შეძლო XX ოლიმპიადიდან (1972 წელი, მიუნხენი).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 79-ე სესიამ მიიღო ფიდეს წინადადებანი წონითი კატეგორიების შეცვლის თაობაზე, რომელიც ოლიმპიურ პროგრამათა კომისიის რეკომენდაციით მოიწონა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ძიუდოისტები გაითამაშებენ მედლების რვა კომპლექტს (60, 65, 71, 78, 86, 95-მდე, 95-ის ზევით კილოგრამამდე წონითს კატეგორიებში და აბსოლუტურ პირველობაში).

Ш. ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ



გარდაიცვალა ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, აფხაზეთის სსრ დამსახურებული არტისტი შოთა იუსტინეს ძე **ბაბელია.**

თავისი სიცოცხლის ნახევარი (იგი 42 წლისა გარდაიცვალა) შ. გაბელაია ქართულ სცენას ემსახურებოდა და მთელი თავისი შემოქმედებით დაადასტურა უტყუარი ტალანტი, ხალასი აქტორული შესაძლებლობანი. მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში 60 მთავარი და ეპიზოდური როლია.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოსვლამდე შ. გაბელაიამ საინტერესო სცენური სახეები შექმნა სოხუმის თეატრის სცენაზე. მათ შორის აღსანიშნავია შვეიკი (ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“), რომელმაც თვალსაჩინო გახადა მისი მსახიობური თვისებები: უშუალობა, ძალდაუტანებელი იუმორი, სცენური თავისუფლება და იმპროვიზაციის უნარი. 1966 წელს ჩეხოსლოვაკიელ დრამატურგთა პიესების მიხედვით შექმნილ საბჭოთა სპექტაკლების კონკურსზე შვეიკის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მას პრემია მიენიჭა.

მაყურებელს ახსოვს შ. გაბელაიას მიერ ხორცშესხმული ბევრი საინტერესო სახე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. მსახიობი ნაყოფიერად მუშაობდა ავრეთვე კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, იგი 20 კინოსურათშია გადაღებული. მის გმირებს სიხარული და ღიმილი მოჰქონდათ მაყურებლისათვის სცენაზე, ეკრანსა და ესტრადაზე. ღიმილი იყო მისი მუდმივი თანმხლები. ღიმილით უწილადებდა სითბოსა და სიყვარულს მეგობრებს, რომელთა ხსოვნას სამუდამოდ შემორჩება მისი ნიჭიერებით აღბეჭდილი შემოქმედება, მისი მხიარული, ალალმართალი, ნათელი სახე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრალური საზოგადოება; ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲘ. გუშინ თბილისის ოფიცერთა სახლის დიდ დარბაზში გაიმართა არმიელ მოჭადრაკეთა გუნდური ზონალური ტურნირის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები, ამიერკავკასიელებისა და ოდესელების მატჩი დამთავრდა ფრედ — 3,5:3,5. დღეს მასპინძლები ხვდებიან ბალტიისპირელებს. ბოლო ტურის წინ ამიერკავკასიელებს 32 ქულა აქვთ, ოდესელებს — 30,5, ხოლო ბალტიისპირელებს — 26,5.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. გუშინ ტაშკენტში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის მატჩები. თბილისის „დინამომ“ დაამარცხა მინსკის „ბურევესტნიკი“ — 7:5. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს ვ. ისელიძემ (5), ნ. კურტანიძემ და თ. კუტივაძემ.

ᲛᲫᲚᲝᲛᲜᲝᲑᲐ. ბერლინის ზამთრის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუნიორ მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 108:101.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. იუგოსლავიაში კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა გამართა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა. საბჭოთა ფეხბურთელებმა ამჯერად დაამარცხეს ქალაქ სომბორის „რადნიჩკი“ — 3:1. მოსკოვის „დინამო“ კი დამარცხდა სან-დიეგოში (აშშ) „სან-დიეგო სოკერთან“ ანგარიშით 2:5.

ᲗᲑᲘᲚᲐᲛᲣᲠᲘ. გორკში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი თხილამურებში ტრამპლინიდან ხტომაში. 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში პირველობა არავის დაუთმო გორკელმა ი. ბოროვიტინმა (252,4 ქულა; 80 და 80,5 მეტრი). მეორე ადგილზე გავიდა ლვოველი ვ. სავინი (250,8 ქულა; 79,5 და 80 მ), მესამეზე — პეტროზავოდსკელი ი. ივანოვი (248,5 ქულა; 79 და 80 მ).

ᲡᲐᲡᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ბელგრადში დამთავრდა სამშობლოს მოღალატეების ტიტარენკოს, ოსტაპენკოსა და ვიზნირის სასამართლო პროცესი, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში მტრის მხარეზე გადავიდნენ.

აღმოჩდნენ რა ჰიტლერელთა მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე, მათ ნებაყოფლობით დაიწყეს სამსახური ფაშისტურ სადამუშო ბანაკში, რომელიც დამსჯელ ოპერაციებს ახორციელებდა პარტიზანებისა და იატაკქვეშა ორგანიზაციების წინააღმ დ ე გ. გერმანელ ფაშისტთა პოლიციის 725-ე ჯგუფი, რომელშიც განსასჯელნი მსახურობდნენ, თავდაპირველად ახლანდელი ბელგოროდის ოლქის ტერიტორიაზე მოქმედებდა, შემდეგ კი გერმანელ ფაშისტთა არმიასთან ერთად უკან დახევის დროს სუმსა და კიევში მძვინვარებდა.

თავიანთ პატრონ — ჰიტლერელებთან ერთად ტიტარენკომ, ოსტაპენკომ და ვიზნირმა 1942-1943 წლებში სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს. ისინი მონაწილეობდნენ 50-ზე მეტი საბჭოთა პატრიოტის დაპატიმრებასა და დახვრეტაში.

მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის გამსვლელმა სესიამ მოღალატეებს სასჯელის საგანგებო ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. (საკდესის კორ.).

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲫᲘᲣᲓᲝ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲔᲜᲓᲘ

ᲒᲝᲒᲝ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲕᲔᲣᲚᲘ...

ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გაგვლელო, ეს შენც გეხებაკ!

გახსოვთ ხალხური სიმღერის ტექსტი? დიახ, გოგოს ხელი სტაცეს... მაგრამ ეს ჩვენი გოგონა, რომლის წერილსაც ახლა გაგაცნობთ, სადმე ბნელ „მოხვეულში“ კი არ შეიჩერეს უხეშად, არამედ დღისით-მზისით, შუა ქუჩაში, უამრავი გამვლელ-გამომვლელის თვალწინ, და ვიღაც უსაქმურმა, ხულიგანმა მას შეურაცხყოფა მიაყენა.

„ძვირფასო რედაქცია, — გვწერს იგი, — ვარ სტუდენტი. ვცხოვრობ მეტრო „ოქტომბერთან“. ძალიან მიყვარს ჩემი დიასახლისი და არ მინდა ბინა გამოვიცვალო, თორემ რომ იცოდეთ, როგორ მძულს მეტროსთან საღამოს გავლა. აქ ხშირად დგას რამდენიმე უსაქმური და უთუოდ უცენზურო სიტყვებს მომაძახებენ, ხოლო თუ შეზარხოშებულები არიან, ხელით შეხებასაც არ თაკილობენ. ასეთ დღეში ალბათ სხვებიც იქნებიან.

ძალიან გთხოვთ გადასცეთ ეს მილიციის მუშაკებს, ვიდრე სერიოზული დანაშაული არ მომხდარა. როდემდე უნდა გვეშინოდეს გზაზე სიარული?“

—გოგონას წერილი ჩამაფიქრებელია, — გვითხრა თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა მ. ღუდუშაურმა, — უსაქმურთა თავშეყრის ადგილები ჩვენთვის კარგად არის ცნობილი და მათ ყოველდღიურ, მუდმივ მეთვალყურეობას ვუწევთ. გამოვლენილ უსაქმურთა უმეტესობაც სწორედ ამ „ბირჟებზე“ დგომის დროს იქნა აყვანილი აღრიცხვაზე. სხვათა შორის, ბევრი დანაშაულის კვალიც აქ გვიპოვია...

უსაქმურობის წინააღმდეგ ბრძოლის წლის პირველსავე ეტაპზე განსაკუთრებით გაძლიერდა ეს მუშაობა. ბოლო ორი კვირის მანძილზე რეიდებს ორ ცვლად, უწყვეტად ვაწყობთ დილის 9 საათიდან მეორე დღის დილის 5 საათამდე. ვამოწმებთ თავშეყრის ადგილებს, რაიონში საპასპორტო რეჟიმის დაცვას, ერთი სიტყვით, მობილიზებულია რაიონის მთელი აქტივი...

ვესტუმრეთ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულთა რაიონულ შტაბს და კომენტარი ვთხოვეთ მის უფროსს, პენსიონერს, შინაგან საქმეთა გადამდგარ მაიორს ი. კორკოტაძეს:

— „ოქტომბრის“ მეტროსთან ყოველთვის დგას რაზმელთა ჯგუფი, — გვითხრა მან,—შტაბში ამჟამად რაიონის 51 საწარმოსა და დაწესებულების საუკეთესო მუშაკები არიან გაერთიანებული და ყოველდღიურად 300 რაზმელი ჯგუფებად გადის სამორიგეოდ ასეთი თავშეყრის ადგილებში. მორიგეობა საღამოს 6 საათზე იწყება და 10 საათზე მთავრდება. ჩვენმა რაზმელებმა მარტო ამ თვეში რამდენიმე ლოთი გამოავლინეს და ქურდიც კი დაიჭიეს...

— რაზმელები მართლაც ძალიან გვეხმარებიან, — საუბარში ჩაერია მეტრო „ოქტომბრის“ მიმდებარე ტერიტორიის უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეონტენანტი, ბ. ალხანაშვილი, — მე ახალი კაცი ვარ და ტერიტორიას კარგად არ ვიცნობ, ამიტომ ბევრ რამეს მათ ვეკითხები. მეტროს წინ მდგომი უსაქმურთა ჯგუფიც მათი დახმარებით გამოვავლინეთ, რა თქმა უნდა, მეტროპოლიტენის დაცვის მილიციის მუშაკებიც შეძლებისდაგვარად ებრძვიან მათ...

მეტროპოლიტენის დაცვის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილემ გ. ჯებისაშვილმა კი გვითხრა: მეტროს სადგურების წინ მიმდებარე მოედნებზე წესრიგის დაცვა ჩვენი მუშაკების მუდმივი ყურადღების საგანია. პიკის საათებში სადგურებთან ორ-ორი ჩვენი მუშაკი მორიგეობს, ისინი უსაქმურებთან პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან...

როგორი თვალითაც უნდა შეხედოთ ამ კომენტარებს, შეუძლებელია მათში უთუოდ მაინც არ დაინახოთ ის აქტიურობა, რომელსაც შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, საზოგადოებრივი აქტივი უკანასკნელ ხანს იჩენენ ქალაქში ოპერატიული ვითარების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ, რა დიდიც უნდა იყოს მათი მეცადინეობა, საბოლოო მიზანი მაინც შორს დაგვჩება, თუ ჩვენ ყველანი, დიდი თუ პატარა, ფხიზლად არ ვიქნებით შინ თუ გარეთ, თუ ყველა, როგორც ერთი, არ მოვიშორებთ „რა ჩემი საქმეა“ მავნე, საშიშ სულისკვეთებას. ამიტომ, ვფიქრობთ, იმ გოგონას წერილი უპირველესად შენს კომენტარსაც მოითხოვს, გამვლელო, შენ იყავი იმ შემთხვევის მოწმე და, ცხადია, მოვალეც — გოგონას გამოსარჩლებოდი.... ქალიშვილმა შენ რომ არ მოგმართა დასახმარებლად, და საშველად მილიციას, რედაქციას მოუხმო, — აი, რა არის სადარდელი და საფიქრალი, ჩვენ ხომ ათასნი ვართ, ხულიგან-უსაქმური კი თითო-ოროლა, და მაინც დღისით-მზისითაც ქუჩაში ადამიანმა უშიშრად რატომ ვერ უნდა გაიაროს?

რ. ჯელიძე.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ 1964 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორების მოთხოვნით ძიუდო შეტანილი იქნა ოლიმპიადების პროგრამაში. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდი, შეიქმნა 1956 წელს) საბოლოო ოლიმპიური სტატუსის მიღება შეძლო XX ოლიმპიადიდან (1972 წელი, მიუნხენი).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 79-ე სესიამ მიიღო ფიდეს წინადადებანი წონითი კატეგორიების შეცვლის თაობაზე, რომელიც ოლიმპიურ პროგრამათა კომისიის რეკომენდაციით მოიწონა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ძიუდოისტები გაითამაშებენ მედლების რვა კომპლექტს (60, 65, 71, 78, 86, 95-მდე, 95-ის ზევით კილოგრამამდე წონითს კატეგორიებში და აბსოლუტურ პირველობაში).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ / ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ 26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ 4 ᲛᲐᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ.

□ 26 თებერვალი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამედ ვუროღუნი“, 10.05 — ბავშვებისათვის — ფილმი სერიიდან „ლესი“ (მ.), 11.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 17.00 — მოსწავლეთათვის — სამართალმცოდნეობა (ფ.), 17.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის „კოკონი“, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „კინოს სამყაროში“ (ფ.), 19.30 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნელმავალი“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — დოკუმენტური ფილმი „ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია“. დამადების 110 წლისთავის გამო (მ.), 20.20 — „ვესტნიკი“ (ფ.), 20.50 — „დეპუტატობის კანდიდატები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.50 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან“. (I სერია (ფ.).

მეორე პროგრამით. 18.00 — სტუდენტთათვის — ფილოსოფია (ფ.), 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.40 — განცხადებები (ფ.), 19.45 — მხატვრული ფილმი „თოჯინა“. I სერია, 21.00 — კონცერტი, 21.45 — დოკუმენტური ფილმი „მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის პირველკურსელებთან“.

□ 27 თებერვალი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შეკისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — მოსწავლეთათვის — ნორჩი ტექნიკოსები“, 18.45 — „პირველად ხევსურეთში“ 19.05 — „აჭარა არჩევნების წინ“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — „გლობუსი“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან“. II სერია (ფ.).

მეორე პროგრამით. 18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — მხატვრული ფილმი „თოჯინა“. II სერია, 21.00 — დოკუმენტური ფილმი „დედებზე დაურულებლად შეიძლება ლაპარაკი“ (ქართულ ენაზე), 21.55— მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება (ფ.).

□ 28 თებერვალი

პირველი პროგრამით. 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.50 — დოკუმენტური ფილმი, 10.15 — ვამპილოვი — „საზლი ფანჯრებით მინდვრისკენ“, ს